ინოვაციები რეგიონის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაში

ევგენი ბარათაშვილი –
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სტუ-ს სრული პროფესორი, საქართველოსა და საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი
ვახტანგ დათაშვილი –
ჟურნალ „სოციალური ეკონომიკის“ მთავარი რედაქტორი

ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოყოფენ საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპის შემდეგ თავისებურებებს:

- საზოგადოების განვითარება მრავალვარიანტულია და არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად იყოს მოცემული. მას თან სდევს მრავალფეროვნების ზრდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. აქედან გამომდინარეობს განვითარების მიმართულებების არჩევანის პრობლემა;
- საზოგადოებრივი განვითარების პრობლემების ანალიზი მოითხოვს აზროვნების ახალ დონეს. საჭიროა თაობების და არა მიმდინარე მოვლენების მასშტაბებით აზროვნება;
- საჭიროა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესის გათვალისწინება. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემების გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ მსოფლიო განვითარების გლობალური ტენდენციების ფარგლებში.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის ძირითადი ტენდენციებია საქონლისა და მომსახურების მსოფლიო ბაზრის გაფართოება და კაპიტალის მსოფლიო ბაზრების სულ უფრო მზარდი ინტეგრაცია. გლობალიზაცია უზრუნველყოფს სოციალურ, ეკონომიკურ და სხვა სუბიექტებს შორის ურთიერთობათა დამყარების შესაძლებლობას მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, ამასთან, მნიშვნელოვნად იზრდება ამ ურთიერთობათა მნიშვნელობა ეროვნულ კანონებსა და ნორმებთან შედარებით.

გლობალიზაციის ერთ-ერთი ნიშანია ტრანსნაციონალური კორპორაციების (ტნკ) მნიშვნელობის ზრდა, რომელთა წილად მოდის მსოფლიო სამრეწველო წარმოების ერთ მესამედზე მეტი, საგარეო ვაჭრობის ნახევარზე მეტი და ახალ ტექნიკასა და ტექნოლოგიებზე პატენტების დაახლოებით 80%.

XX საუკუნის დასასრულის უმნიშვნელოვანესი ნიშანი გახდა მისი გადასვლა განვითარების ახალ ინოვაციურ ფაზაზე. ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე დამყარებულ ინდუსტრიულ ეკონომიკას ცვლის ცოდნასა და ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე დამყარებული ეკონომიკა, რომელიც გამოირჩევა ცალკეული ინდივიდუმების ცოდნისადმი გაზრდილი ყურადღებით. ამრიგად, მოცემული ტიპის ეკონომიკის წარმოების მნიშვნელოვანი ფაქტორი ხდება ინტელექტუალური რესურსები ან ცოდნა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ინოვაციური განვითარების გზაზე ჩვენი ქვეყნის წინსვლის ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი უნდა გახდეს მეცნიერებისა და ინოვაციების განვითრების სფეროში ქვეყნის სტრატეგიის შემუშავება. მეცნიერებისა და ინოვაციების სახელმწიფოებრივი განვითარების სფეროდ მიჩნეულ ძირითად ამოცანებს განეკუთვნება ფუნდამენტური კვლევების განვითარება, კვლევებისა და პროექტების სექტორის შედეგიანობის ამაღლება, გლობალურ ეკონომიკაში, ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარება.

ინოვაციური პროცესების ეფექტური მართვა ყველა დონეზე იძლევა ქვეყნის, მისი რეგიონებისა და ცალკეული ტერიტორიების მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის შესაძლებლობას.

განვითარების ინოვაციური ხაზის უპირატესი არჩევანი განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

- ინოვაციები წარმოადგენს მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ საკვანძო ფაქტორს. არსებული შეფასების თანახმად, განვითარებულ ქვეყნებში 50%-დან 90%-მდე მშპ-ის ზრდა განპირობებულია ინოვაციებით და ტექნოლოგიური პროგრესით. განვითარების თანამედროვე ეტაპის თავისებურებაა ის, რომ ინოვაცია ხდება მრეწველობის ყველა სექტორის განვითარების აუცილებელი პირობა და მამოძრავებელი ძალა.
- ინოვაციები არსებით გავლენას ახდენს როგორც ცალკეული საწარმოების კონკურენტუნარიანობაზე, ასევე რეგიონისა და მთელი სახელმწიფოს ეკონომიკაზე. ეკონომიკურმა კვლევებმა დაადასტურა დამოკიდებულება ინოვაციურ ეკონომიკასა და ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს შორის. კონკურენტუნარიანობის ინოვაციური გეზის ალტერნატივად შეიძლება ჩაითვალოს განვითარება რესურსული ბაზის

საფუძველზე, რაც უმეტეს შემთხვევაში იწვევს ეფექტიანობის დაქვეითებას ტრადიციულ დარგებში რესურსებზე მსოფლიო ფასების მერყეობის შესაბამისად, ეროვნული უსაფრთხოებისათვის საფრთხის შექმნას ბუნებრივი რესურსების მარაგის შესაბამისად და ა.შ.

- ინოვაციები იძლევა მეცნიერებატევადი პროდუქციის არსებულ მსოფლიო ბაზრებზე გასვლისა და ახალი ბაზრების შექმნის შესაძლებლობას. წლიური ბრუნვა ახალი ტექნოლოგიებისა და მეცნიერებატევადი პროდუქციის მსოფლიო ბაზრებზე რამდენადმე აღემატება ბრუნვას ნედლეულის ბაზარზე, მ.შ. ნავთობისა და ბუნებრივი აირის ბაზრებზე. მსოფლიო ბაზრის ამ პერსპექტიულ სეგმენტზე გასვლა შესაძლებელი ხდება ინოვაციებით უზრუნველყოფილი დივერსიფიკაციის ხარჯზე.

მიუხედავად თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და წარმოების ტექნოლოგიური მოდერნიზაციის საკვანძო ფაქტორად ინოვაციების აღიარებისა, სამამულო ლიტერატურაში არ არსებობს აღნიშნული ცნების ერთიანი, საყოველთაოდ აღიარებული განმარტება.

სულ რაღაც 10-15 წლის წინათ ტერმინ „ინოვაციას" იყენებდნენ მხოლოდ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პრობლემებზე მომუშავე ეკონომისტები. სამრეწველო საწარმოების ინჟინერები და მმართველები იყენებდნენ ცნებას „ახალი ტექნიკა", ან უბრალოდ „სიახლე" ან „სიახლის დანერგვა".

ცნება „სიახლე" არის ქართული ვარიანტი ინგლისური სიტყვისა ინნოვატიონ, რაც ქართულად ნიშნავს ნოვაციის შემოღებას ანუ, ჩვენი გაგებით, „სიახლის შემოღებას". სიახლეში იგულისხმება ახალი წესი, ახალი ჩვეულება, ახალი მეთოდი, გამოგონება, ახალი მოვლენა. „სიახლის დანერგვა" სიტყვასიტყვით ნიშნავს სიახლის გამოყენების პროცესს.

ამრიგად, სიახლის გავრცელების მომენტისათვის იგი იძენს ახალ თვისებას, ანუ გადაიქცევა ინოვაციად. ბაზარზე ინოვაციის შემოღების პროცესს უწოდებენ კომერციალიზაციას. სიახლის გაჩენასა და ინოვაციად მის ხორცშესხმას შორის დროით ინტერვალს ინოვაციური ლაგი ეწოდება.

ტერმინი „ინოვაცია" პირველად შემოიღო შუმპეტერმა 1912 წელს ნაშრომში „ეკონომიკური განვითარების თეორია". ინოვაციაში იგი გულისხმობდა წარმოების ტექნოლოგიის ან ზოგიერთი სამეურნეო ერთეულის მართვაში დანერგილ სიახლეს. შუმპეტერის თანახმად, ინოვაცია მოგების ერთ-ერთი ძირითადი მამოძრავებელი ძალა, მისი გენერატორი. ხშირად ინოვაცია გენერირდება სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო პროექტებით, ბაზრის პერსპექტივების ცვლილებებით.

განვლილი 90 წლის მანძილზე, ეკონომიკის განვითარების კვალდაკვალ ცნება „ინოვაციის" შინაარსი უფრო გაფართოვდა და ამჟამად გამოიყენება არა მხოლოდ წარმოების ტექნოლოგიების სფეროში, არამედ ვრცელდება ორგანიზაციულ, ფინანსურ და ნებისმიერ სხვა მეთოდზე, რომლებიც ხელს უწყობენ საწარმოს, რეგიონის და მთელი ქვეყნის განვითარებას.

საჭიროა აღინიშნოს, რომ თუ სამამულო პრაქტიკაში ინოვაციას განიხილავენ, როგორც ინოვაციური საქმიანობის საბოლოო შედეგს (ან უბრალოდ შედეგს), უცხოეთში (ოსლოს ხელმძღვანელობა) - როგორც საქმიანობას, ცვლილებათა პროცესს.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს ინოვაციის კვალიფიკაციისადმი სხვადასხვაგვარი მიდგომა. ინოვაციათა კლასიფიკაცია ნიშნავს მათ განაწილებას კონკრეტულ ჯგუფებში განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. ამასთან, ერთი და იგივე ინოვაცია, კლასიფიკაციის გამოყენებული კრიტერიუმებიდან გამომდინარე, შეიძლება მივაკუთვნოთ რამდენიმე სახეს.

ინოვაციების ყველაზე სრული კლასიფიკაცია მოცემულია ნაშრომში:

1. ინოვაციები სიახლის დონის მიხედვით იყოფა რადიკალურ და ორდინალურ ინოვაციებად;

2. ინოვაციები შეიძლება დანერგილ იქნას სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა სტადიაზე: სტრატეგიული მარკეტინგის, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო მუშაობის, წარმოების ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური მომზადების, უშუალო წარმოებისა და გაყიდვის შემდგომი მომსახურების სტადიებზე;

3. მასშტაბის მიხედვით ინოვაციები იყოფა მსოფლიო, ქვეყნის, დარგის, საწარმოს მასშტაბით ახალ ინოვაციებად;

4. გამოყენების სფეროს მიხედვით გამოყოფენ ფირმის შიგნით გამოყენებულ, ფირმაში დაზოგვისათვის გამოყენებულ და გაყიდვისათვის გამიზნულ ინოვაციებად;

5. გამოყენების სიხშირის მიხედვით ინოვაციები შეიძლება იყოს ერთჯერდი და განმეორებადი;

6. სიახლის ფორმები შეიძლება შემდეგნაირი იყოს: აღმოჩენა, გამოგონება, პატენტი; რაციონალიზატორული წინადადებები; ნოუ-ჰაუ; სასაქონლო ნიშნები; სავაჭრო მარკები; ემბლემები და სხვ;

7. დანერგვის შედეგად მიღებული ეფექ-

ტის სახეების მიხედვით ინოვაციები შეიძლება იყოს: სამეცნიერო-ტექნიკური, სოციალური, ეკოლოგიური, ეკონომიკური და ინტეგრალური;

8. ინოვაციები შეიძლება დაინერგოს ინოვაციური მენეჯმენტის სხვადასხვა ქვესისტემებში: სამეცნიერო თანხლების, მიზნობრივ, უზრუნველმყოფ, მართვით, მართვად ქვესისტემებში.

კლასიფიკაციის პირველი და მესამე მიმართულებები (რომლებიც ითვალისწინებენ ინოვაციების მასშტაბსა და სიახლეს), ინოვაციური ცვლილებების ინტენსივობა მნიშვნელოვანწილად ასახავენ ინოვაციათა რაოდენობრივ და თვისებრივ მახასიათებლებს და დიდი მნიშვნელობა აქვთ მათი შედეგების ეკონომიკური შეფასებისა და მმართველობითი გადაწყვეტილებების დასაბუთებისათვის.

ლიტერატურაში მრავლადაა ისეთი კლასიფიკაციაც, რომელსაც საფუძვლად უდევს მხოლოდ ერთი კრიტერიუმი. ამასთან დაკავშირებით ინტერესს იწვევს ერთ-ერთი მკვლევარის მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაცია, რომლის ერთადერთი კრიტერიუმია ინოვაციათა რადიკალურობის ხარისხის და მათი სიახლის დონე:

1. საბაზისო ინოვაციები, რომლებიც ახდენენ უმსხვილესი გამოგონებების რეალიზებას და ხდებიან ტექნიკაში რევოლუციური გადატრიალებების, მისი ახალი მიმართულებების ჩამოყალიბების, ახალი დარგების შექმნის საფუძველი. ასეთი სიახლეების დანერგვა მოითხოვს ხანგრძლივ დროს და დიდ დანახარჯებს ასათვისებლად, მაგრამ უზრუნველყოფს დონითა და მასშტაბით მნიშვნელოვან სახალხოსამეურნეო ეფექტს, თუმცა არ ხდება ყოველწლიურად;

2. გაუმჯობესებული ინოვაციები, რაც გულისხმობს საშუალო დონის გამოგონებათა რეალიზაციას და საფუძვლად ედება მოცემული თაობის ტექნიკის (ტექნოლოგიების) ახალი მოდელებისა და მოდიფიკაციების შექმნას, რომლებითაც ხდება მოძველებული მოდელების უფრო ეფექტიანი მოდელებით ჩანაცვლება ან ამ თაობის ტექნიკის გამოყენების სფეროს გაფართოება, ასევე, გამოყენებული ტექნოლოგიების არსებითი სახეცვლილება;

3. მიკროინოვაციები, რომლებიც აუმჯობესებენ ტექნიკის გამოშვებული მოდელებისა და გამოყენებული ტექნოლოგიების ცალკეულ წარმოებრივ ან სამომხმარებლო პარამეტრებს მცირე გამოგონებების გამოყენების საფუძველზე, რაც ხელს უწყობს ამ მოდელების უფრო ეფექტიან წარმოებას ან მათი გამოყენების ეფექტიანობის ზრდას;

4. მანქანისა და ტექნიკის იმ მოდელების გაუმჯობესებაზე მიმართული ფსევდოინოვაციები, რომლებიც წარმოადგენენ ტექნიკის გუშინდელ დღეს. ეს მხოლოდ ამტკიცებს და აძლიერებს წარმოებისა და პროდუქციის ტექნიკურ ჩამორჩენას.

ამრიგად, ავტორი ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ ტექნოლოგიური სიახლეების განხილვაზე.

ასევე, ტექნოლოგიური პარამეტრებიდან გამომდინარე, ინოვაციები იყოფა პროდუქტულ და პროცესულ ინოვაციებად. ამასთან, ტექნოლოგიური პროდუქტული ინოვაცია გულისხმობს პროდუქტის დამზადება/კომერციალიზაციას ეფექტიანობის უფრო სრულყოფილი მახასიათებლებით, რათა ობიექტურად ახალი ან სრულყოფილი მომსახურებები მიეწოდოს მომხმარებელს. ტექნოლოგიური პროცესული ინოვაცია არის ტექნოლოგიურად ახალი ან მნიშვნელოვნად სრულყოფილი წარმოებრივი მეთოდების ათვისება, პროდუქციის მიწოდების მეთოდების ჩათვლით.

არატექნოლოგიური კლასიფიკაციისადმი განსხვავებული მიდგომების განხილვისას საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ ამგვარ კლასიფიკაციას არსებითი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, იმდენად რამდენადაც მას გააჩნია პოტენციური უნარი დეტალური წარმოდგენა შეგვიქმნას ამა თუ იმ პროგრესული სიახლის მახასიათებლების შესახებ. ეს კი, თავის მხრივ, აუცილებელია საწარმოში ინოვაციების დანერგვისას სახელმწიფოს მხრიდან ადეკვატური მხარდაჭერის განსახორციელებლად.

ინოვაცია შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგი ფორმებით:

- ახალი ტექნოლოგია;
- ახალი დამატება ახალი საქონლის, მომსახურების ან პროცესების ფორმით;
- ახალი ბაზარი ან ბაზრის სეგმენტი;
- ახალი ორგანიზაციული ფორმა ან მენეჯმენტისადმი ახლებური მიდგომა.

ასევე შესაძლებელია ორი ან მეტი მდგენელის კომბინაცია. ამრიგად, ინოვაციები შეიძლება აღწერილი იქნას როგორც მოვლენა, რომელსაც გააჩნია ტექნოლოგიური, გამოყენებითი, საბაზრო ან ორგანიზაციული ასპექტები.

საწარმო, ინოვაციების შექმნასა და წარმოებასთან დაკავშირებული თავისი მიზნების მისაღწევად ახორციელებს ინოვაციურ საქმიანობას. სამამულო და უცხოურ ლიტერატურაში არ არსებობს ინოვაციური საქმიანობის ერთმნიშვნელოვანი გაგება. ავტორთა ნაწილი მას განიხილავს როგორც პროცესს, ზოგიერთი

კი – არა. მოცემული კვლევის ფარგლებში ინოვაციურ საქმიანობად განვიხილავთ როგორც სამეცნიერო, ტექნოლოგიური, ორგანიზაციული, ფინანსური და კომერციული საქმიანობის ერთობლიობას, რომელიც მიმართულია ბაზარზე პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებული ახალი ან სრულყოფილი პროდუქტის ან ახალი ან სრულყოფილი ორგანიზაციულ-ეკონომიკური ფორმის შექმნასა და დანერგვაზე, რაც უზრუნველყოფს საჭირო ეკონომიკურ და/ან საზოგადოებრივ სარგებელს.

იმავდროულად, უნდა განვასხვავოთ ინოვაციური პროცესი, როგორც მოვლენა, შინაარსობრივად მსგავსი, მაგრამ არა იდენტური. ინოვაციური პროცესი ნიშნავს თანმიმდევრულ მიზანმიმართულ მოქმედებებს ინოვაციათა ინოვაციის, ახალი პროდუქტებისა და ოპერაციების შემუშავების, ბაზარზე მათი რეალიზაციისა და შემდგომი დიფუზიისათვის.

ინოვაციური პროცესი წარმოადგენს ერთიან თანმიმდევრულ ჯაჭვში გაერთიანებულ ელემენტთა ერთობლიობას, რომელიც წარმოქმნის ინოვაციური პროცესების სტრუქტურას. ასეთ ელემენტებს განეკუთვნება:

- ინიციაცია;
- ინოვაციათა მარკეტინგი;
- ინოვაციათა გამოშვება;
- ინოვაციათა რეალიზაცია;
- ინოვაციათა გატანა;
- ინოვაციათა ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება;
- ინოვაციათა დიფუზია.

მთლიანობაში, პროგრესი ინოვაციებში ეყრდნობა იმ ელემენტთა ურთიერთქმედების იმ რთულ სისტემას, რომლებიც აწარმოებენ სხვადასხვა ტიპის ცოდნას, მართავენ მათ ნაკადებს, ანაწილებენ და უზრუნველყოფენ მათ დამატებას. ინოვაციური პროცესის ეფექტიანობა მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება იმით, თუ როგორ ურთიერთქმედებენ ძირითადი მოქმედი პირები ერთმანეთთან ცოდნის შექმნისა და გამოყენების ერთიანი სისტემის ელემენტების რანგში, ასევე გამოყენებული ტექნოლოგიების თანადროულობით. ამასთან დაკავშირებით, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა არა მხოლოდ სამეცნიერო-ტექნიკური სფეროსთვის, ასევე მთლიანად ეკონომიკისთვის არის ეფექტიანი ეროვნული ინოვაციური სისტემის აგება (ეის).

ეროვნული ინოვაციური სისტემა შეიძლება განხილული იქნეს ვიწრო გაგებით, ანუ მეცნიერული ძიების, სამეცნიერო ცოდნისა და ახალი ტექნოლოგიების წარმოების პროცესში უშუალოდ ჩართული ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების ერთობლიობად. იგი შეიძლება გაანალიზდეს უფრო ფართოდაც, როცა განიხილება ნებისმიერი ორგანიზაცია და სტრუქტურა, რომელიც რაიმენაირ გავლენას ადენს ინოვაციურ პროცესზე.

ჩვენი აზრით, უფრო კორექტული იქნება ეროვნული ინოვაციური სისტემის გაგება ჩამოყალიბებული ეკონომიკური და ინსტიტუციონალური მექანიზმების საფუძველზე ინოვაციური საქმიანობის განმახორციელებელი ეკონომიკის სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორების ურთიერთმოქმედი სუბიექტების განვითარებად ერთობლიობად. ეროვნული ინოვაციური სისტემა აერთიანებს სახელმწიფოს, სამეცნიერო-ტექნიკური და საგანმანათლებლო სფეროების ორგანიზაციების, ეკონომიკის სამეწარმეო სექტორის, საფინანსო-საკრედიტო სფეროს, სახელმწიფო სტრუქტურებისა და ინოვაციური სფეროს არასახელმწიფო ინსტიტუტების ძალისხმევას მაღალტექნოლოგიური მეცნიერებატევადი პროდუქციის ბაზარზე ინტელექტუალური საქმიანობის შედეგების დაჩქარებული რეალიზაციის ინტერესებისათვის.

ეროვნული ინოვაციური სისტემის ფუნქციონირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფო, რომელიც განსაზღვრავს ინოვაციური პროცესის მონაწილეთა ურთიერთქმედების წესებს ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბების გზით. ეროვნული ინოვაციური სისტემის ძირითადი კომპონენტებია ინოვაციური საქმიანობის სუბიექტები – ინოვაციური პროდუქტის შექმნასა და გატანაში მონაწილე ორგანიზაციები და ფიზიკური პირები, ასევე ინფრასტრუქტურის ობიექტები – ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უწყობენ ინოვაციური საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყოფენ მტკიცე კავშირის წარმოქმნას მეცნიერებასა და წარმოებას შორის.

ცხადია, რომ ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება მეტწილად განისაზღვრება ეფექტური რეგიონული ინოვაციური ინფრასტრუქტურების, როგორც ეროვნული ინოვაციური სისტემის ქვესისტემის ჩამოყალიბების შესაძლებლობით. ინოვაციურ ინფრასტრუქტურაში, როგორც წესი, გულისხმობენ ინოვაციური საქმიანობის სუბიექტებს, რომლებიც ხელს უწყობენ ინოვაციური პროცესების განხორციელებას, ინოვაციური პროდუქციის შექმნისა და რეალიზაციის მომსახურების გაწევის ჩათვლით.

ჩვეულებრივ, გამოყოფენ ინოვაციური ინფრასტრუქტურის შემდეგ ქვესისტემებს:

- ფინანსურს: სხვადასხვა ტიპის ფონდებს (საბიუჯეტო, ვენჩურული, სადაზღვევო, სა-

ინვესტიციო), ასევე სხვა ფინანსურ ინსტიტუტებს, როგორიცაა, მაგალითად, საფონდო ბაზარი;

- წარმოებრივ-ტექნოლოგიურს, როგორიცაა: ტექნოპარკები, ინოვაციურ-ტექნოლოგიური ცენტრები, ბიზნეს-ინკუბატორები, ტექნოლოგიების ტრანსფერის ცენტრები და სხვა;

- ინფორმაციულს: მონაცემთა და ცოდნის ბაზები, ანალიტიკური, სტატისტიკური, საინფორმაციო და სხვა ცენტრები;

- საკადროს: სამეცნიერო და ინოვაციური მენეჯმენტის სფეროში კადრების მოსამზადებელი საგანმანათლებლო დაწესებულებები და ა.შ.;

- საექსპერტო-კონსალტინგურს: ინტელექტუალური საკუთრების, სერტიფიკაციის პრობლემებზე მომსახურების გამწევი ორგანიზაციები.

ჩამოთვილი ქვესისტემების გარდა, ზოგიერთი ავტორი გამოყოფს ასევე ინოვაციური ინფრასტრუქტურის გასაღების მდგენელს, რომელიც წარმოდგენილია სპეციალიზირებული საშუამავლო ფირმების, საგარეო სავაჭრო გაერთიანებების მიერ, საგამოფენო საქმიანობით და სხვ.

უახლოესი პერსპექტივისათვის ერთ-ერთი სერიოზული ამოცანაა ინოვაციური საქმიანობის ისეთი ინფრასტრუქტურის შექმნა, რომელიც სათანადოდ დააბალანსებს საწარმოთა ინოვაციურ რესურსებს და, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს მთელი რეგიონის მდგრად განვითარებას.

ტერმინი „მდგრადი განვითარება" 1992 წელს შემოვიდა მსოფლიო პოლიტიკასა და მეცნიერებაში გაეროს მსოფლიო კონფერენციაზე. „მდგრად განვითარებაში" იგულისხმება განვითარება, რომელიც აკმაყოფილებს დროის მოთხოვნას და საფრთხის ქვეშ აყენებს მომავალი თაობების უნარს დაიკმაყოფილონ თავიანთი მოთხოვნილებები. „XXI საუკუნის დღის წესრიგის" მიღებით, რომლის მიზანია მდგრად განვითარებაზე გადასვლის უზრუნველყოფა მსოფლიო მასშტაბით, ყველა ქვეყნის მეცნიერებმა და პოლიტიკოსებმა განსაზღვრეს მთლიანად ცივილიზაციის და ყოველი ცალკე აღებული სახელმწიფოს განვითარების პრინციპები, რაც იძლევა შესაძლებლობას თავიდან იქნეს აცილებული გლობალური კრიზისული მოვლენები და უზრუნველყოფს დღევანდელი და მომავალი თაობების ღირსეულ ცხოვრებას. განვითარების აღნიშნული პრინციპები გულისხმობს სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობის სოციალურ-პოლიტიკური და ეკოლოგიური შედეგების შეფასების აუცილებლობას მთლიანობაში და ურთიერთკავშირში.

„ადამიანური პოტენციალის განვითარების შესახებ"გაეროს 1994 წლის მოხსენებაში შემოთავაზებული მდგრადი განვითარების დაზუსტებული კონცეფციის თანახმად, განვითარება განიხილება არა მხოლოდ ეკონომიკური ზრდის გამომწვევ მიზეზად, არამედ მისი შედეგების უფრო სამართლიანად განაწილების, გარემომცველი გარემოს აღდგენის, ადამიანთა შესაძლებლობების ზრდის ხელშემწყობად.

მდგრადი განვითარების კონცეფცია მოიცავს შემდეგ დებულებებს:

- ყურადღების ცენტრშია ადამიანები, რომელთაც უნდა გააჩნდეთ ჯანსაღი და ნაყოფიერი ცხოვრების უფლება ბუნებასთან ჰარმონიაში;

- გარემომცველი გარემოს დაცვა უნდა გახდეს განვითარების პროცესის განუყოფელი კომპონენტი და შეუძლებელია მის გარეშე იქნას განხილული;

განვითარების უფლება ისე უნდა იქნას განხილული, რომ თანაბრად იქნას უზრუნველყოფილი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება განვითარებაში და გარემომცველი გარემოს შენარჩუნება როგორც დღევანდელი, ასევე მომავალი თაობებისათვის;

- მსოფლიოს ხალხების ცხოვრების დონეში განსხვავების შემცირება, სიღარიბისა და სიღატაკის დაძლევა.

ჩვენი ქვეყანა აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო პროცესებში და, აქედან გამომდინარე, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ეკონომიკის მდგრადი განვითარების პრობლემებს მართვის ყველა დონეზე.

მდგრად განვითარებაზე გადასვლის ერთ-ერთი ეტაპი უნდა გახდეს ძირითადი სტრუქტურული გარდაქმნები ეკონომიკაში, ტექნოლო-გიური განახლება, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესის არსებითი ეკოლოგიზაცია. ამასთან, ქვეყნის ტერიტორიის ეკოლოგიური კეთილდღეობა შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს ქვეყნის მდიდარი ბუნებრივი პოტენციალის რაციონალური გამოყენების და ერთ სულ მოსახლეზე მისი ფარდობითი დანახარჯების შემცირების ხარჯზე.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სასურველი გარემომცველი გარემოსა და ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის შენარჩუნების პრობლემების დაბალანსებული გადაწყვეტა შესაძლებელია განვითარების ინოვაციურ გზაზე ქვეყნის ეკონომიკის ხელახალი ორიენტაციით, რაც გულისხმობს მეცნიერებატევადი ტექნოლოგიების აქტიურ დანერგვას და უზრუნველყოფს ნედლეულისა და ენერგიეს მოხმარე-

ბის დაბალ დონეს. მეცნიერება შეიძლება გახდეს სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ სფეროებში გარდაქმნების მეთოდოლოგიური და ტექნოლოგიური საფუძველი, რომელიც აუცილებელია რეგიონის და მთელი ქვეყნის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

განვითარების ინოვაციურ ტიპზე ქვეყნის გადასვლის რეალიზება შესაძლებელია მხოლოდ რეგიონების ინოვაციური განვითარების გზით. ყოველი რეგიონის ან რეგიონთა ჯგუფებისათვის საჭიროა ინოვაციური განვითარების პრობლემების გადაწყვეტისადმი ინდივიდუალური მიდგომა.

რეგიონის ინოვაციური განვითარება წარმოადგენს ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში ცვლილებათა მიზანმიმართულ და მართვად პროცესს, რომლის მიზანია ცხოვრების მაღალი ხარისხის მიღწევა რეგიონის ტერიტორიაზე ბუნებრივი რესურსების უმცირესი ზარალით და მოსახლეობის მიმდინარე და პერსპექტიული კოლექტიური მოთხოვნილებებისა და სახელმწიფოს ინტერესების დაკმაყოფილების უმაღლესი დონით.

ინოვაციური განვითარების სტრატეგიის საფუძველი უნდა გახდეს სიახლეების მიზანმიმართული ძიება და ეფექტური მართვა რეგიონის ეკონომიკური, სოციალური და სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში. რეგიონის ინოვაციური განვითარების სუბიექტებად გვევლინებიან: ხელისუფლების ფედერალური და რეგიონული ორგანოები; „ზრდის წერტილები" - საწარმოები და საწარმოთა კომპლექსები, რომლებიც ქმნიან შიდა და საგარეო ბაზრებზე კონკურენტუნარიან ტერიტორიულ-სამრეწველო კლასტერებს, ასევე რეგიონის მოსახლეობა.

რეგიონული ინოვაციური პოლიტიკა ორიენტირებულია ტერიტორიული პრობლემების გადაწყვეტაზე, რომელთა რიცხვს განეკუთვნება არსებული მატერიალურ-ტექნიკური, ნედლეულისა და შრომითი პოტენციალის ეფექტური გამოყენება, შიდა ბაზრის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

რეგიონული ინოვაციური პოლიტიკის რეალიზაციისათვის მიღებულ ზომებად შეიძლება ჩაითვალოს რეგიონისათვის პრიორიტეტული წარმოების კონკურენტუნარიანი პოტენციალის ზრდის პროგრამები ინოვაციების რეალიზაციისათვის კერძო ინსტიტუციონალური მოზიდვის გზით, ინოვაციური საქმიანობის ეკონომიკური სტიმულირების რეჟიმის ჩამოყალიბება.

რეგიონული ინოვაციური პოლიტიკა არის რეგიონის ეკონომიკის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად ხელისუფლების რეგიონული ორგანოების ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი.

ხელისუფლების რეგიონული ორგანოების ინოვაციური პოლიტიკა, როგორც სტაბილიზაციის, გამოცოცხლებისა და ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი, გულისხმობს მჭირდო ურთიერთკავშირს სამეურნეო-კომერციული ურთიერთობების სუბიექტებს შორის. იმდენად, რამდენადაც ინოვაციათა გამოყენება უზრუნველყოფს მონოპოლურად მაღალ სამეწარმეო შემოსავალს, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები დაინტერესებულნი არიან რეგიონული ინოვაციური პოტენციალის დონის ამაღლებით და ინოვაციური აქტივობის ინტენსიფიკაციით.

უნდა აღინიშნოს, რომ სამამულო და უცხოურ კვლევებში არ არის ერთიანი შეხედულება ამ საკითხზე. სამეცნიერო ლიტერატურის კვლევამ გვიჩვენა რეგიონში ინოვაციური საქმიანობისა და ინოვაციური პროცესების აქტივიზაციის სხვადასხვა ფორმების არსებობა.

მეცნიერთა ნაწილის მოსაზრებით, რეგიონული ინოვაციური პროცესების მხარდაჭერის განხორციელება შესაძლებელია:

- კონცერნების, საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების წარმოქმნით;
- ინოვაციური საქმიანობის სფეროში მცირე საწარმოების ქსელის, როგორც რეგიონის ინიციტივიანი მეწარმეობის განვითარების ფორმის, შექმნის გზით მეწარმეობის განვითარებით;
- რეგიონული ინოვაციური ინფრასტრუქტურის, როგორც ინოვაციური საქმიანობის უზრუნველყოფისა და მცირე ინოვაციური ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის საფუძვლის ჩამოყალიბებით.

ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ რეგიონის ინოვაციური პროცესი წარმოდგენილია რამდენიმე ფორმით. ჯერ ერთი, კორპორაციული სტრუქტურებით (ამაში შედის მსხვილი კომპანიების სამეცნიერო-კვლევითი ქვედანაყოფები, საფინანსო-საწარმოო ჯგუფები ან მათი ფილიალები და შვილობილი კომპანიები, რომლებიც წარმოადგენენ ინოვაციურ საწარმოებს და გამოყოფილი არიან კორპორაციის შემადგენლობიდან სიახლის შექმნისა და კომერციული ათვისების პერიოდისათვის და იმართებიან სპეციალური განყოფილებების მიერ). მეორე, სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი წარმონაქმნებით (მ.შ. სასწავლო დაწესებულებებით, საუნივერსიტეტო და კვლევითი ცენტრებით და ა.შ.). მესამე, მცირე ინოვაციური ფორმებით.

ზოგიერთ ნაშრომში განხილულია რეგიონში ინოვაციური პროცესის ხელშემწყობი მხ-

ოლოდ ზოგიერთი ორგანიზაციული ფორმა. მათ შეიძლება მივაკუთვნოთ სამეცნიერო პარკები, კვლევითი ცენტრები, ბიზნეს-ინკუბატორები, ტექნოლოგიური ცენტრები, ტექნოპარკები, ტექნოპოლისები და სხვ. კვლევათა უდიდესი ნაწილი, როგორც უკვე აღინიშნა, ახასიათებს ინოვაციური პროცესების რეალიზაციის ცალკეულ ფორმებს.

განვიხილოთ ცალკეული ინსტრუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინოვაციების მართვას სახელმწიფოს, რეგიონისა და საწარმოს დონეზე.

სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის ყველა ინსტრუმენტი შეიძლება დაიყოს ორ დიდ ჯგუფად – ინოვაციების პირდაპირი და ირიბი სტიმულირების ინსტრუმენტებად.

ინოვაციების პირდაპირი სტიმულირების რეალიზება შესაძლებელია დაუბრუნებად საფუძველზე პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსების, შეღავათიანი სესხების გაცემის, სახელმწიფო შეკვეთების გზით.

ინოვაციათა ირიბი სტიმულირება გულისხმობს სტიმულირების საგადასახადო მეთოდების გამოყენებას, კვლევით და სამეწარმეო გარემოთა ინტეგრაციას, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას, ასევე ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვას.

სახელმწიფო პოლიტიკას ინოვაციურ სფეროში შეემატა მთელი რიგი ახალი ინსტრუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინოვაციათა როგორც პირდაპირ, ასევე ირიბ სტიმულირებას. მათ რიცხვს განეკუთვნება სახელმწიფო-კერძო ამხანაგობები (სკა), კლასტერები და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონები (გეზ). განვიხილოთ ისინი უფრო დაწვრილებით.

ტერმინ „სახელმწიფო კერძო ამხანაგობებში" იგულისხმება სახელმწიფოს მიერ ისეთი მექანიზმების გამოყენება, რომლებიც სტიმულს აძლევენ კერძო ბიზნესის მონაწილეობას ინოვაციურ საქმიანობაში. სკა-ის მეშვეობით შესაძლებელია რესურსების გაერთიანება, მოგებისა და რისკების განაწილება, ისინი ხელს უწყობენ კონკრეტული გარემოს ჩამოყალიბებას და იმავდროულად – საბიუჯეტო საშუალებების უფრო ეფექტიან გამოყენებას.

სახელმწიფო-კერძო ამხანაგობების გამოყენების პრაქტიკა დასავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში გვიჩვენებს, რომ აღნიშნული მექანიზმი გამოიყენება იქ, სადაც სახელმწიფოსა და ბიზნესს ურთიერთშემავსებელი ინტერესები გააჩნიათ, მაგრამ არ შესწევთ ძალა იმოქმედონ დამოუკიდებლად.

სამეცნიერო-ტექნოლოგიურ და ინოვაციურ სფეროებში ხშირად გვხვდება სკა-ის შემდეგი ფორმები:

სამეცნიერო-კვლევითი პროექტების თანადაფინანსება კონკურენციამდელ სტადიაზე. ამ შემთხვევაში მრეწველობის მონაწილეობის სტიმული კვლევებისა და პროექტების შედეგების კომერციალიზაციის უფლებათა გადაცემაა;

კომერციალიზაციის ადრეული სტადიების თანადაფინანსება (ვენჩურული დაფინანსება);

ერთობლივი კვლევითი ცენტრების შექმნა იმ ოლქებში, რომლებიც ტრადიციულად იმყოფებიან სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ზონაში (ჯანდაცვა, გარემოს დაცვა, თავდაცვა).

ზოგიერთ ვარიანტში სკა-ის პრიორიტეტულ სახეებად დასახელებულია მეგაპროექტები და ინოვაციური საქმიანობის ინფრასტრუქტურის განვითარება.

მეგაპროექტების რეალიზაციას საფუძვლად უდევს იდეა იმის შესახებ, რომ მსხვილი ინოვაციური პროექტების მხარდაჭერით სახელმწიფო თავის თავზე იღებს ტექნოლოგიურ რისკებს და ამგვარად ქმნის პირობებს მაღალტექნოლოგიური ბიზნესის განვითარებისათვის. ამასთან, ინოვაციური პროექტების პირდაპირი სახელმწიფო მხარდაჭერა განიხილება როგორც დროებითი ინიციატივა წარმატების მაგალითების შესაქმნელად, რომლებიც, თავის მხრივ, უნდა იწვევდეს ინვესტიციების ნაკადს მაღალტექნოლოგიურ დარგებში.

თუმცა, ამჟამად, მეგაპროექტების შერჩევისას არ ითვალისწინებენ ეროვნული პრიორიტეტებისა და საზოგადოებრივი უკუგების მაღალი პოტენციალისადმი მათი შესაბამისობის ფაქტორს, რაც მნიშვნელოვანწილად აქვეითებს ინოვაციათა სტიმულირების მოცემული ინსტრუმენტების ეფექტიანობას.

ინოვაციური საქმიანობის სტიმულირების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარება.

ინოვაციურ ინფრასტრუქტურაში, როგორც წესი, გულისხმობენ ინოვაციური საქმიანობის სუბიექტების ერთობლიობას, რომლებიც ხელს უწყობენ ინოვაციური პროცესების განხორციელებას, ინოვაციური პროდუქციის შექმნისა და რეალიზაციის მომსახურების ჩათვლით.

ჩვეულებრივ, გამოყოფენ ინოვაციური ინფრასტრუქტურის შემდეგ ქვესისტემებს:

- ფინანსურს;
- საწარმოო-ტექნოლოგიურს;
- ინფორმაციულს;
- საკადროს;
- საექსპერტო-კონსალტინგურს;

ფინანსური ინფრასტრუქტურის საწარმოე-

ბისა და ორგანიზაციების ძირითადი ამოცანაა ინოვაციური საწარმოებისათვის ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა. მოცემული ქვესისტემა უმთავრესად წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის ფონდებით.

ბოლო დროს მრავალი დისკუსია იმართება ვენჩურულ ინვესტირებასთან დაკავშირებით. ვენჩურული ფონდები ორიენტირებულია ახალი პერსპექტიული მეცნიერული პროექტების დაფინანსებაზე, რომელთაც უმეტეს შემთხვევაში თან ახლავს გაურკვევლობისა და რისკის მაღალი ხარისხი. მოცემული მექანიზმი გულისხმობს ვენჩურული ფონდის მონაწილეობას ინოვაციური პროექტების მართვაში და მისი მის მეწარმესთან ერთად პასუხისმგებლობისა და ფინანსური რისკის განაწილებას სიახლის კომერციალიზაციისას. ვენჩურული დაფინანსებისას საჭირო საშუალებები შეიძლება გაიცეს პერსპექტიული იდეისათვის მეწარმის არსებული ქონებით, დანაზოგით ან სხვა აქტივებით გარანტირებული უზრუნველყოფის გარეშე. ვენჩურული ფონდი შეიძლება წარმოადგენდეს როგორც დამოუკიდებელ ორგანიზაციას, ასევე რამდენიმე ინვესტორის მიერ ერთობლივი ვენჩურული ფონდის შექმნისას შეიძლება გააჩნდეს ფინანსური ამხანაგობის სტატუსი.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა ფინანსური ინოვაციური ინფრასტრუქტურის მდგენელი შეიძლება იყოს სხვადასხვა სადაზღვევო, საინვესტიციო ფონდები, ასევე სხვა ფინანსური ინსტიტუტები, როგორიცაა, მაგალითად, საფონდო ბაზარი.

წარმოებრივ-ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა ზოგადად მოწოდებულია საწარმოებისათვის (უპირველესად მცირე საწარმოებისათვის) წარმოებრივი რესურსების ხელმისაწვდომობის პირობების შესაქმნელად.

ამჟამად აქტიურია მიდგომა, რომელიც გულისხმობს ინოვაციური სისტემის აგებას რუსეთის რეგიონებში ინოვაციური აქტივობის ცენტრების – საკვანძო ტერიტორიული სამეცნიერო-ტექნოლოგიური კომპლექსების ჩამოყალიბების გზით, რომლებიც ორიენტირებულია ინოვაციების ათვისებასა და წარმოებაში მის ფართო დიფუზიაზე მისი ტექნოლოგიური მოდერნიზაციისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

ინოვაციური აქტივობის ასეთ რეგიონულ ცენტრებს შეიძლება წარმოადგენდეს საწარმოო-ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის შემდეგი ელემენტები - ინოვაციური ტერიტორიები, აკადემ ქალაქები, სამეცნიერო-ტექნოლოგიური პარკები, ტექნოლოგიების ტრანსფერის ცენტრები და სხვ.

ქვეყანაში თანამედროვე ინოვაციური ტერიტორიების შექმნის მთავარი მიზეზებია:

1. რეგიონული პოლიტიკის რეგიონული სამეურნეო კომპლექსების სტრუქტურული გარდაქმნის ეფექტურ ინსტრუმენტად ამ სამეცნიერო ტექნოლოგიური კომპლექსების გამოყენების მცდელობა;

2. პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და მსოფლიო მაღალტექნოლოგიურ ბაზრებზე გარღვევის უზრუნველსაყოფად პირობების შექმნის აუცილებლობა;

3. მეცნიერებისგან უკუგების ეფექტიანობის ამაღლების მექანიზმების წარმოებაში ტექნოლოგიების გადაცემის ოპერატიული საშუალებების ძიება;

4. ინოვაციური ტერიტორიების, როგორც ქვეყანაში არსებული და რეფორმების პერიოდში სერიოზულად დაზარელებული სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური პოტენციალის შენარჩუნებისა და აქტუალიზაციის საშუალების გამოყენება.

ინოვაციურ ტერიტორიებს გააჩნია შემდეგი თავისებურებები:

- მსხვილი სამეცნიერო საწარმოო კომპლექსების დიდი ნაწილი შექმნილია თავდაცვით-ბირთვული კომპელქსის „დახურული" და ნახევრადდახურული დასახლებების ბაზაზე. ამჟამად ამ დასახლებათა უმრავლესობას გააჩნია განსაკუთრებული სტატუსი - ისინი წარმოადგენენ დახურულ ადმინისტრაციულ ტერიტორიულ წარმონაქმნს, რაც არსებითად ზღუდავს მათი საწარმოების საქმიანობის პროფილს და ქმნის სერიოზულ სიძნელეებს საერთაშორისო კონტაქტებისათვის, რაც აუცილებელია ინვესტიციების მოზიდვისა და ინოვაციური საქმიანობის აქტივიზაციისათვის;

- ტექნოპარკებისა და ტექნოპოლისების უმრავლესობის მართვას საფუძვლად უდევს ადმინისტრაციულ-გეგმური მექანიზმები. ამიტომაც მათ მხოლოდ მცირე ნაწილს გააჩნია ინოვაციური საქმიანობის ორგანიზებისა და ბაზრის პირობებში პროდუქციის გატანის გამოცდილება;

- ინოვაციური ტერიტორიების განვითარების მთავარი სირთულე მდგომარეობს ინოვაციური პროექტების მრავალარხიანი დაფინანსების არარსებობაში.

გარდა ამისა, ინოვაციური ტერიტორიების განვითარების კიდევ ერთი თავისებურებაა მათი ორგანიზაციული ფორმები, რომელთა არჩევანს საფუძვლად უდევს საბაზო სამეცნიერო-საწარმოო კომპლექსთან „მიბმა". ასე, მაგალითად, ტექნოპარკებისათვის ამგვარ კომპლექსს წარმოადგენს უმაღლესი სასწავლებელი, აკადემიური ან დარგობრივი ინსტიტუტი, დახურული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმ-

ნებისათვის- თავდაცვითი კომპლექსის საწარმოები და კვლევითი ინსტიტუტები, აკადემქალაქების უმეტესობისათვის – დახურული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნები.

ლიტერატურაში გამოყოფენ ინოვაციური ტერიტორიების ქვემოთ ჩამოთვლილ სახესხვაობებს. ამ შემთხვევაში კლასიფიკაციის კრიტერიუმია ტერიტორიული წარმონაქმნებისა და მაღალტექნოლოგიური კომპლექსების თავისებურებების ტიპები, რომლებიც უდევს მათ საფუძვლად.

1. ინოვაციური ტერიტორიები, როგორც მუნიციპალური წარმონაქმნების ნაწილი, ეს არის სამეცნიერო ტექნოლოგიური პარკების ვარიანტი. ისინი შეიძლება შეიქმნას აკადემიურ და სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო საქმიანობაზე უპირატესი ორიენტაცია.

2. სამეცნიერო-კვლევითი პარკები სტრუქტურაში ან მუნიციპალური წარმონაქმნის ბაზაზე. მათი თავისებურებაა სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო საქმიანობაზე უპირატესი ორიენტაცია.

3. აკადემქალაქები დახურული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნებისა და სხვა მუნიციპალური წარმონაქმნების საფუძველზე. აკადემქალაქად ითვლება მინუციპალური წარმონაქმნი ქალაქწარმომქმნელი სამეცნიერო-საწარმოო კომპლექსით.

4. ტექნოქალაქები დახურული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნების და სხვა მუნიციპალური წარმონაქმნების ფარგლებში. ეს არის ტერიტორიული კომპლექსები, რომლებიც დაკავებულია არა მაღალტექნოლოგიური პროდუქციის შემუშავებით, არამედ მისი გამოშვებით.

საჭიროა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა ტიპის ინოვაციური ტერიტორიების ჩამოყალიბების პროცესი ამჟამად შეეხო მაღალი სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის მქონე რეგიონებს.

ინოვაციური ინფრასტრუქტურის კიდევ ერთი ელემენტია განსაკუთრებული ეკონომიკური ზონები.

განსაკუთრებული ეკონომიკური ზონები წარმოადგენს ინოვაციური ინფრასტრუქტურის სხვა სახეების, მაგალითად, როგორიცაა: ტექნოპარკები, ინოვაციურ-ტექნოლოგიური ცენტრები, ინოვაციურ-სამრეწველო კომპლექსები და ა.შ. შექმნისას რეალიზებული იდეის განვითარება და მდგომარეობს იმაში, რომ მოხდეს მეცნიერებატევადი პროექტების კონცენტრირება ერთ ადგილას და უზრუნველყოფილ იქნას სათანადო სოციალური პირობები მათი განვითარებისათვის. განსაკუთრებული ეკონომიკური ზონები სხვა ინფრასტრუქტურული პროექტებისაგან განსხვავდება განზრახვით – უფრო ფართოდ გამოიყენოს სტიმულირების ირიბი ზომები, ასევე შეამციროს ადმინისტრაციული ბარიერები.

განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა წარმოადგენს ქვეყნის ტერიტორიის ნაწილს, რომელზედაც მოქმედებს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი. გათვალისწინებულია ორი ტიპის განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის შექმნის შესაძლებლობა, კერძოდ: სამრეწველო-წარმოებრივი და ტექნიკურ-დანერგვითი. განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის მექანიზმი მეწარმეებს აძლევს, ჯერ ერთი, თავისუფალი საბაჟო ზონის საბაჟო რეჟიმს; მეორე, საგრძნობ საგადასახადო შეღავათებს.

განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა რეგიონებში გრძელვადიანი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა გადამამუშავებელი მრეწველობისა და მეცნიერებატევადი წარმოების განსავითარებლად.

ინოვაციური საქმიანობის მხარდამჭერი ინფრასტრუქტურის შემდეგი ბლოკი დაკავშირებულია ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასთან. ამ სფეროში არსებობს ორგანიზაციათა ფართო ქსელი, რომელიც მოიცავს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის სახელმწიფო ცენტრების რეგიონულ საინფორმაციო ქსელს, ცოდნისა და მონაცემთა ბაზას, ასევე ანალიტიკურ, სტატისტიკურ და სხვა ცენტრებს.

ამჟამად, ინოვაციური საწარმოების წინაშე მდგარი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა კვლევებისა და პროექტების ორგანიზების უნარის მქონე კადრები. გარდა ამისა, სამრეწველო საწარმოების უმრავლესობას (როგორც მსხვილ, ისე მცირეს) არ ჰყავთ სპეციალისტები, რომელთაც შეუძლიათ კვალიფიციურად უზრუნველყონ საწარმოთა მეცნიერებატევადი პროდუქციის გატანა ბაზარზე. ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა კადრების მომზადების სისტემის განვითარება ინოვაციური საქმიანობის უზრუნველმყოფი ყველა მიმართულებით. საკადრო ინფრასტრუქტურის ელემენტებია სამეცნიერო და ინოვაციური მენეჯმენტის სფეროში კადრების მომზადების საგანმანათლებლო დაწესებულებები და ა.შ.

ინოვაციური საქმიანობის განხორციელებაში საექსპერტო-კონსალტინგური ორგანიზაციების, როგორც კონსალტინგური ინფრასტრუქტურის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ინოვაციურ საქმიანობას გააჩნია მრავალი სპეციფიკური თავისებურება, რომელთა ცოდნას მხოლოდ პრაქტიკული გამოცდილება იძლევა.

საექსპერტო-კონსალტინგური ინფრასტრუქტურა წარმოდგენილია ტექნოლოგიების ტრანსფერის ცენტრებითა და რიგი სხვა ორგანიზაციებით, რომლებიც დაკავებული არიან ინტელექტუალური საკუთრების, სერთიფიკაციის პრობლემებზე მომსახურების გაწევით.

როგორც წესი, ისინი უწევენ კონსალტინგურ მომსახურებას საკითხების ფართო სპექტრზე - საფინანსო, ეკონომიკურ, მარკეტინგულ, ხშირად კი საგარეო ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით.

გარდა ჩამოთვლილი ქვესისტემებისა, ზოგიერთი ავტორი გამოყოფს ასევე ინოვაციური ინფრასტრუქტურის გასაღებით მდგენელს, რომელიც წარმოდგენილია სპეციალიზირებული საშუამავლო ფირმების, საგარეო სავაჭრო გაერთიანებების მიერ, საგამოფენო საქმიანობით და სხვ.

რეგიონის ინოვაციური ინფრასტრუქტურის ქვესისტემის ერთობლიობა მოწოდებულია უზრუნველყოს სხვადასხვა ინოვაციური რესურსების ხელმისაწვდომობა საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის და გაუწიოს ესა თუ ის მომსახურება ინოვაციური საქმიანობის მონაწილეებს.

პრინციპში, ინოვაციებს ქმნის მსოფლიოს უამრავი საწარმო და ორგანიზაცია, თუმცა მათ მხოლოდ მცირე რიცხვს ეწოდოს ინოვაციური ანუ განახლებადი. ინოვაციური კომპანიების მთავარი განმასხვავებელი ნიშანია ორიენტაცია ცვლილებებზე, რომელიც მათი საქმიანობის ნორმადაა ქცეული.

ინოვაციური საქმიანობა, მისი პრინციპული განსხვავებებიდან გამომდინარე, ერთის მხრივ, შეიძლება ორგანიზებულ იქნას ჩვეულებრივი წარმოებრივი პროცესისაგან განკერძოებულად, გააჩნდეს საკუთარი ბიუჯეტი, იმართებოდეს განსაკუთრებულად და საკუთარი ადგილი ფირმის სივრცეში, მეორე მხრივ-უზრუნველყოფდეს მთელი ორგანიზაციის განვითარებას.

ინოვაციური საქმიანობის ორგანიზაცია მიმართულია ახალი იდეების გენერაციის პროცესების მოწესრიგებაზე, ტექნიკური გადაწყვეტილებების შემუშავებას და მიღებაზე, ნოვაციების შექმნასა და მის დანერგვაზე. ამასთან დაკავშირებით, ორგანიზაციის მექანიზმი ორიენტირებული უნდა იყოს ინოვაციური პროცესების განმახორციელებელი სტრუქტურების ჩამოყალიბებასა და რეორგანიზაციაზე. მოცემული მუშაობა შეიძლება წარიმართოს სხვადასხვა ფორმით, რომელთაგან უმთავრესია შექმნა, შთანთქმა, საბაზრო ინტეგრაცია, გამოყოფა.

შექმნა გულისხმობს ახალი საწარმოების, სტრუქტურული ქვედანაყოფების ან ერთეულების ჩამოყალიბებას, რომელთა მიზანია ინოვაციური საქმიანობის განხორციელება. ახალი ორგანიზაციული ფორმების ყველაზე არსებით ელემენტებს მიეკუთვნება:

- სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო დაწესებულებათა ქვედანაყოფები - ისინი იქმნება მუდმივ საფუძველზე, არ გააჩნიათ სამეურნეო დამოუკიდებლობა და მათი საქმიანობა მთლიანობაში ხორციელდება კომპანიის საბიუჯეტო სახსრების ხარჯზე. ეს ქვედანაყოფები შეიძლება იყოს დეცენტრალიზებული და უშუალოდ ექვემდებარებოდეს კომპანიის ხელმძღვანელობას;

- სამეცნიერო ლაბორატორიები, რომლებშიც კვლევითი საქმიანობა გამოყოფილია მიმდინარე წარმოებრივი პროცესებისა და პრობლემებისაგან. ასე, მაგალითად, კომპანიის რისკის ქვედანაყოფები იქმნება უახლოესი ტექნოლოგიების შემუშავების მიზნით და წარმოადგენს მცირე, ავტონომიურად მართვად სპეციალიზებულ წარმოებას. მათ შესაქმნელად საშუალებები გამოიყოფა საკუთარი ბიუჯეტის მქონე კორპორაციული ქვედანაყოფების მიერ;

- საპროექტო ჯგუფები, რაც გულისხმობს სპეციალისტთა დროებითი გუნდის შექმნას კონკრეტული ამოცანის გადასაწყვეტად. საპროექტო ჯგუფის შექმნის არსი იმაში მდგომარეობს, რომ თავი მოუყაროს ორგანიზაციის ყველაზე კვალიფიცირებულ თანამშრომლებს (შესაძლებელია გარეშე სპეციალისტების მოზიდვაც) რთული პროექტის განსახორციელებლად დათქმულ ვადებში, ხარისხის მოცემული დონით, გამოყოფილი რესურსების ფარგლებში. პროექტის დასრულებისას გუნდი იშლება. მის წევრებს კი შეუძლიათ ახალ პროექტებში გადასვლა ან მუდმივ სამუშაოზე დაბრუნება;

- მატრიცული სტრუქტურა, რომლის დროსაც ადამიანები იმავდროულად მონაწილეობენ ფუნქციონალური და საპროექტო ჯგუფების მუშაობაში, შეიმუშავებენ ახალ იდეებს, მაშინ როცა ორგანიზაციის სტრატეგია ორიენტირებულია ხარისხიანი შედეგების მიღებაზე მაღალი ტექნოლოგიების სფეროს პროექტების უმრავლესობაში. ხელმძღვანელობის ძირითადი ამოცანა ამ შემთხვევაში მდგომარეობს ორ სტრუქტურას შორის ბალანსის შენარჩუნებაში;

- დამოუკიდებელი სამეცნირო-ტექნიკური ორგანიზაციები. მათ გააჩნიათ საკუთარი ბიუჯეტი, ყიდიან თავიანთ პროექტებს კომპანიის საწარმოო ქვედანაყოფებზე. ეს გარემოება ზრდის პასუხისმგებლობას საქმიანობის შედეგებზე, კომპანიის მიზნებისადმი შესაძლებლობასა და ბაზრის მოთხოვნებზე;

- შიდა ვენჩურები, ანუ ე.წ. ინტრაპრენერული

სტრუქტურები, რომლებიც დაკავებული არიან ახალ საბაზრო ნიშანზე ორიენტირებული სიახლეების უშუალო დანერგვით. მოცემული სტრუქტურები კვაზიდამოუკიდებელი სტრუქტურებია, რადგან გააჩნიათ დამოუკიდებლობის ატრიბუტები, გააჩნიათ საკუთარი ანგარიში, მაგრამ წარმოადგენენ კომპანიის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს, იყენებენ მისთვის განკუთვნილ საწარმოო ფართობს, მოწყობილობებს და ა.შ. შემდგომი საქმიანობის განხორციელებისას მოცემული სტრუქტურა შეიძლება გარდაიქმნას დამოუკიდებელ ორგანიზაციად.

რიგ შემთხვევებში საკმაოდ ეფექტური ორგანიზაციული მექანიზმი შეიძლება გახდეს მსხვილი კომპანიის მიერ იმ მცირე ინოვაციური ფირმების შთანთქმა, რომლებიც შედის ამ კომპანიის ინტერესთა სფეროში. მოცემული მექანიზმი დიდი მოცულობის ერთდროული დანახარჯების გაწევისას უზრუნველყოფს ახალი პროდუქტით ბაზარზე გასვლის ვადების მნიშვნელოვან შემცირებას, ასევე უზრუნველყოფს სინერგეტიკულ ეფექტებს ორგანიზაციული მიღწევების გაერთიანებიდან. იმდენად, რამდენადაც ინოვაციურ ფირმებს ყოველთვის არ გააჩნიათ საკმარისი საშუალებები საქმიანობის განსახორციელებლად, ზოგ შემთხვევებში ისინი თავად არიან დაინტერესებული შთანთქმით.

საბაზრო ინოვაციური ინტეგრაცია გულისმობს მსხვილ კომპანიასა და მცირე ნოვაციურ ფირმებს შორის მჭიდრო კავშირების დამყარებას. ეს კავშირები დაფუძნებულია გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობებზე. ამ შემთხვევაში ინოვაციური ფირმები ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას, მაგრამ ექცევიან მსხვილი კომპანიის საბაზრო წარმოებრივი კავშირების სფეროში.

შესაძლებელია ინოვაციური პროცესის ე.წ. მარაოსებური ორგანიზაცია, რომელიც გულისხმობს შთანთქმის შედეგად შექმნილი და საბაზრო-ინტეგრირებული ფირმებისაგან შემდგარი საწარმოს ინოვაციური გარემოცვის შექმნას.

გამოყოფა წამოადგენს ორგანიზაციულ მექანიზმს, რომელიც გულისხმობს ისეთი დამოუკიდებელი კომპანიის შექმნას, რომლებიც ადრე წარმოადგენდნენ ერთიანი წარმოებრივი წარმონაქმნების ნაწილს. მოცემული მექანიზმის გამოყენება მიზანშეწონილია მაშინ, როცა საფუძველი ეყრება საქმიანობის ახალ მიმართულებას, რომელიც არაა დაკავშირებული საწარმოს ძირითად სპეციალიზაციასთან.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის თავისებურებას წარმოადგენს გლობალიზაციის პროცესის გაღრმავება. მოცემული სიტუაცია ხასიათდება ინოვაციურ-ტექნოლოგიური განვითარების ისეთი მექანიზმების დანერგვით, როგორიცაა საერთაშორისო ტექნოლოგიური ალიანსები, რაც გულისხმობს საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კოპერაციის გაღრმავებას სტრატეგიული თანამშრომლობის პრინციპებზე არაფორმალურად ჩამოყალიბებული და საერთო ინტერესების მქონე ტრანსნაციონალური ოლიგოპოლისტური დაჯგუფებების ფარგლებში.

სტრატეგიული ალიანსები ნიშნავს სხვადასხვა ქვეყნების სამრეწველო კომპანიებს შორის კოოპერაციის ისეთ ორგანიზაციას, რომლის დროსაც ყველა მონაწილეობს:

- შეაქვს წვლილი საერთო მიზნების მიღწევაში თანამშრომლობისათვის შერჩეულ სფეროში;
- ინაწილებენ სარგებელს მსგავსი თანამშომლობიდან და სარგებლობენ მის განხორციელებაზე კონტროლის უფლებით;
- ინარჩუნებენ ფორმალურ დამოუკიდებლობას და გამოყოფილი არიან ერთმანეთისაგან.

ამასთან, ახალი პროდუქტებისა და ტექნოლოგიების ერთობლივად ათვისების კონკურენციამდელ სტადიაზე ჭარბობს სტრატეგიული ალიანსები, რომელთა მიზანია სამეცნირო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო მუშაობის წარმართვა. უფრო გვიანდელ კონკურენტულ სტადიებზე ასევე გავრცელებულია წარმოებრივი და მარკეტინგული ალიანსები.

ამჟამად სტრატეგიული ალიანსები შეიძლება შეიქმნას არა მხოლოდ ახალი პროდუქციის ან მომსახურების ახალი სახეების ათვისებაზე დანახარჯების გასანაწილებლად, არამედ სხვა მიზნებითაც. მათ რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ ხეჯირება (დაზღვევა) კონკურირებადი ტექნოლოგიური სტანდარტების უფრო წარმატებული პრომოუშენის შემთხვევისათვის, ასევე დეფიციტური რესურსების ან ახალი ბაზრების მისაწვდომობის მოსაპოვებლად.

რეგიონის დონეზე ინოვაციური საქმიანობის ორგანიზაციისადმი არსებული მიდგომების ანალიზმა გვიჩვენა ინოვაციური აქტივობის აქტივიზაციის ინსტრუმენტების ფართო არჩევანის არსებობა როგორც საწარმო, ასევე რეგიონის დონეზე. ამასთანავე, აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ არ არსებობს სხვადასხვა ინსტრუმენტების ერთიანი დოზირებული ნაკრები, რომელთა გამოყენებაც უზრუნველყოფს ინოვაციური საქმიანობის ეფექტიან ორგანიზაციას ნებისმიერი რეგიონისათვის.

ყოველი რეგიონი ინოვაციური განვითარების ამოცანების გადაწყვეტას უნდა მიუდგეს საკუთარი თავისებურებების, ტრადიციების, არსებული რესურსებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებით.